№ 136. 2 ივლისი, ხუთშაბათი. 1866—1881 2 ივლისი, ხუთშაბათი. № 136.

რედაქცია

გალავნის პროსპექტზეთ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში“ „ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ „Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3თვეს

„დროებაში“ და „ივერიაში“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროებაში“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ივერიაში“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასზე 1 კაპიკი ერთ ადგილი. ასი [illegible] ასზე ნახევარ კაპ. ერთ ადგილი. [illegible] ასზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვს, რედაქცია კაბალნერებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამგზავნილ წერილებს. და უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ბიბლიოთეკა

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ცალკე, ღირს — ხუთი მანეთი

ივერია

ცალკე, ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროებაში“ და „ივერიაში“ 7 მან.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. იღია ჭყონიასთან (ხიდზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ვისაც 5 მანეთის მეტი არ შემოუტანია რედაქციაში გაზეთის ფული, 1 ივლისიდამ მოესპობათ გაზეთის გზავნა.

ადრესისის გამოსაცვლელად ხელის მოსწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მოსწერლებს. რომელნიც ადრესს იცვლიან, იასალ ადრესთან, თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ

ტელეგრამმა

(„ნალხოთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსა“)

პეტერბურღის ბირჟა, 30 ივნისს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა—	95—	12
მეორესი— — — —	93—	75
მესამესი — — — —	94—	50
მეოთხესი — — —	94—	50
ალმოსავლეთის პირვ.—	92—	12
ალმოსავლეთის მეორე	92—	12
ალმოსავლეთის მესამე	92—	12
ოქრო, 1/2 იმპერიალი	7—	83 1/2

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	227—	„
მეორე სესხის — — —	220—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—	„	პენსი
ბერლინი — —	126—	25	პფენიგი
ბამბურღი — —	214—	25	ცენტი
პარიჟი — — —	264—	50	სანტიმი
კავკასიის კერასინი — —			

ფილოქსერა.

თბილისი, 1 ივლისი.

უმეტეს ნაწილათ ჩვენი წერა-ბეჭდვის ბედი ესეთი არის: რაც უნდა მძიმე საქმეზე სწერო, რაც უნდა ბოროტ-მოქმედება გამოააშკარო და საზოგადო ნაკლულევანებაზე და საჭიროებაზე ილაპარაკო, მკითხველი წაიკითხავს შენ ნაწერს, გულში დაგეთანხმება კიდეც, „მე და ჩემმა ღმერთმა მართალია დაუწერიაო“—საც იტყვის დაკეცავს გაზეთს, მიაგდებს სადმე კუთხეში და... ელის მეორე, მესამე ნომერს, რომ კიდევ წაიკითხოს და კიდევ განზე მიაგდოს გაზეთის ნომრები. სხვაგან, საზოგადოებასაც ჰყავს თავისი კაცები, რომელიც თვალ-ყურს ადევნებენ გაზეთს რომლის პირითაც მთელი საზოგადოება ლაპარაკობს, რომელსაც უფრო ბევრი აგენტები ჰყავს ვინემ ადმინისტრაციას და ამ ამბების თანახმად მოახდენენ ხოლმე განკარგულებას; ჩვენში კი ეს ბედნიერი დრო ჯერ ძლიერ შორს არის...

მაგრამ ამ დღეებში ისეთი დიდი უბედურება გამოჩნდა ჩვენ ქვეყანაში, ისეთი მტერი შემოესია ჩვენ მეურნეობას, რომ, გვგონი, ჩვეულებრივი წაყრუებას ადგილი არ ექნება ამ შემთხვევაში მაინც. ჩვენ ვამბობთ ვაზის ახალ ავათ-მყოფობაზე, რომელიც, როგორც გუშინ შევატყობინეთ ჩვენ მკითხველებს, გამოჩენილა სოხუმის მაზრაში.

საშინელი ვაზის მტერი, რომელზედაც ჩვენ ვამბობთ აქ, არის ფილოქსერა. აი ამ ღვთისრისხვა ჭიის მოკლე ბიოგრაფია: ევროპაში პირველათ გამოჩნდა ის 1865 წ. სამი-ოთხი წელიწადი ვერ მიუხვდნენ თუ რა ემართებოდა ვაზებს, მაგრამ მერე კი დაინახეს, რომ ავათ-მყოფ ვაზებს ესიათ პატარა, წყილზე უფრო წვრილი ჭია, რომელიც სწუწნიდა ვაზების წვენს და ამ გვარათ ახმობდა. შენიშნეს რომ ამ ყვითელ ჭიას აქვს ექვსი ფეხი, ორი ულვაში და ხორთუმი, რომლითაც სჩხვლეტს ვაზების ფესვს და ფურცლებს. შენიშნეს ეგრეთვე, რომ ზამთარში ეს ჭია გაბრუებულია და ზაფხულში ფრთებს ისხამს და ისიც, რომ თითოეული დედალი 30-60 კვერცხსა სდებს, დაუპეპლავათ. ბევრი ეცადეს ბევრი კონგრესები გააკეთეს და პრემიები დანიშნეს იმათთვის, ვინც ფილოქსერის მოსასპობ წამალს მოიგონებდა, მაგრამ დღემდის ვერაფერი მოიგონეს და ერთად-ერთ წამლათ ამ უბედურებისა რჩება უბრალო და ყველასთვის მისაგნები საშუალება-ვაზების ამოთხრა და დაწვა, საცა კი შენიშნავენ ფილოქსერას. სხვა ლონის-ძიება ჯერ ვერაფერი მოუგონიათ ავათ-მყოფი ვაზის მოსარჩენათ. საღი ვაზები კი შეიძლება გადაარჩინოს კაცმა, იმ პირობით, რომ იმ ადგილიდამ, საცა ეს ავათ-მყოფი ვაზი არის, უბრალო ხის ფურცელიც არ შემოვიდეს ამ ქვეყანაში, საცა ვაზები უნდა გადაარჩინონ ამ ავათ-მყოფობას. შეიძლება ფილოქსერა ქარს გადაყვებოდეს, ან იმდენი ფრენა შეეძლოს რომ თითონ წაფრინდეს სხვა ქვეყანაში, მაგრამ ჯერ კი საცა ფილოქსერა გაჩენილა, ყველგან აღმოჩენილა, რომ ის ვაზის რქებს გადმოყოლია.

ჩვენ არ ვიტყვით აქ თუ რამდენი ზიანი მოუტანა ევროპის სახელმწიფოებს ფილოქსერამ. საკმაოა მოვიგონოთ, რომ შარშან წინ, მარტო

«დროების» ფელეტონი, 2 ივლისს.

რა არის ფილოქსერა? *)

როგორ გაჩნდება ფილოქსერა?

ამ თხუთმეტის წლის წინათ დასავლეთ ევროპაში პირველად შენიშნეს, რომ ზოგიერთი ვაზები ცუდათ ჰყვავოდა; ყურძენი რიგიანათ არ მწიფდებოდა, შტოები არ იზრდებოდა; შემოდგომაზე ამ ავათმყოფ ვაზების ფურცელი ხმებოდა და სცვიოდა. ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ამისთანა ავათმყოფ ვაზისაგან რჩებოდა მხოლოთ ცარიელი, გამხმარი ღერი.

ვაზმა ბევრ-გვარი ავათმყოფობა იცის; მაგრამ არც ერთი ამ ავათმყოფობათაგანი არ ედება მთელს ვენახს, მხოლოთ ზოგიერთ ვაზს აფუჭებს, ახმობს.

ამას გარდა ყველა სხვა ავათმყოფობა ვაზისა, მაგალითად „ოიდიუმი“ ანუ ნაცარი მხოლოთ გარედამ ეტანება ვაზს, აფუჭებს თვითონ ნაყოფს ვაზისას (ყურძენს), ფურცელს და სტოებს და ამის გამო ადვილად გამოსაცნობია; ამ გვარი ავათმყოფი ვაზის წამლობაც ამიტომ უფრო ადვილია; ვაზის ძირებს ეს ავათმყოფობა არ ეკარება და ზემონაწილები კი ვაზისა, რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ განახდება და ამის გამო ვაზი ძველებურად გაიხარებს.

1868 წელს მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ახალი ავათმყოფობა ვაზისა წარმოსდგება ერთგვარის მწერისაგან რომელითაც ავათმყოფ ვაზის ძირებზე ცხოვრობს.

რა არის ფილოქსერა ანუ ვაზის ტილი?

ამ მწერს მეცნიერები ლათინურ სახელს ფილოქსერას ეძახიან ანუ ვაზის ტილს, რადგან ძალიან ჰგავს იმ ტილებს, რომელიც ზოგიერთ სხვა მცენარეზედაც ცხოვრობს ხოლმე, მაგ. კიტრზე, კომბოსტოზე, ვარდზე, და სხვ.

ფილოქსერა ისე პატარაა, რომ უბრალო თვალით ძნელად მოჩანს, ნევსის ყურწში გაეტევა; გასადიდებელ შუშით (ლუპით, მიკროსკოპით) რომ შეხედოთ, ფილოქსერა გამოდგება მოგრძო მწერი, თავ მოღუნული და უკან ეიწრო; სხეული გამს ჭვერი აქვს, ყვითელი ფერი, სამი წყვილი ფეხები, თავზე ორი ნაცრის ფერი თვალი, ორი ულვაში და პირის მაგიერ ხორთუმი, რომლითაც ის მიეკვრება მცენარეს და სწოვს.

ფილოქსერას გამრავლება

უფრთო ანუ კუტი ფილოქსერა. ფილოქსერა უსქესო მწერია. შემოდგომაზე ის დასდებს 30-დამ 60-მდე კვერცხს და როცა სიცივეები დადგება, ჩაძვრება მიწაში და მთელი ზამთარი იქ სძინავს. თითოეული კვერცხი ერთი-ორად უფრო პატარაა დედაზე; ეს კვერცხი გრძელია მოყვითალო.

რვა-ათი დღის შემდეგ ამ კვერცხიდამ გამოიჩეკება მატლი, რომელიც ერთის შეხედვით დედასა ჰგავს, მხოლოთ იმაზე პატარაა. ეს პატარა მატლი ანუ ტილი საშინელი ცოცხალი, მოძრავი რამ არის და ამიტომ მალე მონახავს ხოლმე კარგ საწოვ ადგილს ვაზის ძირზე; მიეკვრება ამ ძირსა და სწოვს.

ოცის დღის განმავალობაში ეს მატლი სამჯერ იცვლის სახეს და ბოლოს დედის-ოდენა შეიქნება და, თავის მხრით, თითონაც იწყებს კვერცხების დებას.

თითოეული ფილოქსერა ერთს ზაფხულში რაჰდენსამე მილიონად იქცევა, თუმცა ბოლოს-და-ბოლოს შთამომავლობას გამრავლების ნიჭი აკლდება.

ფრთიანი ფილოქსერა. ზოგიერთი ფილოქსერები, კარგის რჩენის გამო, თუ სხვა მიზეზით, შემოდგომის დამდეგს (აგვისტოში) მეოთხეჯერ იცვლიან კანს და ამ დროს ეზრდებათ ფრთები. ფრთიანი ფილოქსერები სტოებენ ვაზის ძირს, ამოდიან ზევით, ჯდებიან

*) ეს სტატია შედგენილია, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მინდობილობით, ცალკე კომისიისაგან.

ერთს საფრანგეთში 550 ათასი ჰექტარი, ე. ი. ერთი მეექვსედი საფრანგეთის ვენახისა ამოაოხრა ამ საშინელმა ჭიამ.

როცა, ამ ერთი წლის წინათ, პირველათ ყირიმში შენიშნეს ფილოქსერა, ჩვენმა მმართებლობამ მაშინვე კავკასიაზე დაიწყო ფიქრი, რადგანაც კავკასია განთქმულია თავისი ღვინოთი და ვაზი არის კავკასიელების კეთილ დღეობის ერთი უმთავრესი წყარო. მაშინვე აკრძალეს, უმაღლესი მთავრობის გადაწყვეტილებით, ვაზის და ხეხილების შემოტანა ყირიმიდამ ხარჯი და ჯაფა არ დაიშურეს, შეადგინეს ცალკე კამისიები, როგორც მმართებლობის მხრით, ისე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მხრით, და, რამდენიმე თვეა მას აქეთ, გაგზავნეს ყირიმში ოც-და ათიოდე ყმაწვილი კაცები ავათ-მყოფობას შესასწავლათ, რომ უბედურობის დროს აქ მუშაობა შეიძლონ.. მაგრამ ფილოქსერა არ შეუშინდა არც უქაზს არც სამეურნეო საზოგადოებას და თავი ამოყო შვედენსკის ბაღში.

ეხლა ნაღვლა და კავკასიის სამზღვარზე კარანტინი გვიანღა არის. მტერი შინა გვყავს და ამ მტერს ისეთივე თავ-გამოდებით უნდა ვებრძოლოთ, როგორათაც გვიბრძოლნია ნამდვილ მტერთან სპარსსთან, ოსმალოსთან. თუ საზოგადოებამ თავზე არ გამოიღო და ამ თავითვე ვერ მიუხვდა უბედურებას, თქვენი მტერი, ჩვენ ქვეყანას საქმე დაემართოს: სამოთხ წელიწადში ეს ვაზების ხოლვერა მთელ საქართველოში მოიფინება და ყველა ჩვენმა მკითხველმა იფიქროს, თუ რა იქნება ჩვენი სოფლის კაცი—თავადობა, აზნაურობა, გლეხობა, თუ იმის ბაღში ვაზი არ იქნება, თუ ღვინო საყიდლათ გაუხდება და თუნგის ფასი ორ-სამ მანეთამდი ავა, თუ არ უფრო მეტი? არ ვამბობთ იმ შემოსავალზე, რომელიც იმას ღვინო გაყიდვიდამ აქვს. სულ უკანასკნელი რო ვიანგარიშოთ, საქართველოს სოფლები ნახევარ მილლიონ მანეთზე უფრო ნაკლებ მაინც არ გაყიდიან, წლის თავზე, ღვინოს. ეს სიმდიდრის წყარო სულ ფილოქსერისგან შეისმება, თუ, ღმერთი გაწყრა, და ის გავრცელდა საქართველოში.

თქმა რა საჭიროა, რო ეხლავე უნდა ალვიჭურვოთ მტრის წინააღმდეგ, ეხლავე უნდა ამოაოხრონ ის ბაღი, საცა ეს ავათ-მყოფობა გაჩენილი და ფიცხლათ აკრძალონ, რომ იმ ადგილიდამ, საცა ავათ-მყოფობაა, არ გადმოიტანონ სხვა სოფლებში ავათ-მყოფი ვაზები და სხვა ბაღის ხეხილები. საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ, მოხდეს მკაცრი განკარგულება და ეს განკარგულება ასრულდეს ისე, როგორც სრულდება მთავარ-სარდალის განკარგულება ომის ველზე.

ღელო.

ახალი ამბები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალ კვირას ალექსანდროვის ბაღში კიდევ „სეირნობას“ ამზადებენ...

მიზანი, რომლისათვისაც ამ სეირნობას მმართავენ და ამით ფულს აგროვებენ, რასაკვირველია, ყოვლად საქები და თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ალექსანდროვის ბაღი ერთად-ერთად მოთავსებული ბაღია იმ ღარიბ და მუშა ხალხისათვის, რომელიც ამ გაგანია სიცხეში იძულებულია ქალაქში დარჩეს და რომელშიაც ამ ხალხს კვირაში ერთხელ შეუძლია მუქთად სეირნობა და სულის მობრუნება. და ეს მეოთხე კვირა გადის, ამ ბაღსაცართმევენ, აქაც უფულოთ არავის უშვებენ...

* * *

ზავლილ ივნისის თვის 27-დამ არწრუნის ქარვასლაში გაიხსნა განყოფილება თფ. ტელეგრაფის სტანციისა. რაღა თქმა უნდა, რომ ტელეგრაფის მთავრობა მადლობის ღირსია ამისთანა ქალაქის შუაგულ, მოთავსებულ ადგილზე ახალის ტელეგრაფის სტანციის გამართვისათვის.

* * *

„კავკაზი“ გვაცნობებს, რომ იმ უპატრონო ბავშთა თავ-შესაფარ სახლის (პრიუტის) სასარგებლოდ, რომელიც მიცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახელობაზე იმართება თფილისში, ამ ჟამად 23,728 მან. 81 კაპ. მოგროვილა და როდესაც 25 ათასი მან. მოგროვდება, პრიკაზში შეიტანენ სარგებლით, სანამ პრიუტის პროექტი არ დამტკიცდება.

* * *

დღეს, ორს ივლისს, გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს „ივერიის“ მეშვიდე, (ივლისის) წიგნი. შინაარსი: I ზაფხულის სურათები, ეკ. გაბაშვილისა, II უსაფუძვლო წადილი ილ. ჭავჭავაძისა „ცხოვრება და კანონის“ გამო (დასასრული), ნ. ხუდადოვისა III *** ლექსი, უმწიფარიძისა, IV ანდერს რუსტად, მოთხრობა (თარგმანი). V დათვი და ცხვრები, ლექსი თ. რაფ. ერისთვისა, VI პურის მოსავალი, ლექსი მისივე. VII ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კრება (20 აპრილი—11 მაისი). VIII უმეცრების ამაყობა (დასასრული) იაკ. გოგებაშვილისა, IX შინაური მიმოხილვა, X ახალი წიგნები: თ. მიხ. თუმანიშვილის რჩეული ლექსები. XI განცხადება.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ:

„გუშინ, 28 ივნისს, კვირა საღამოს შუა-ბაზარში ერთი ჩოჩქოლი შეიქნა ხალხისა. მივედი ვნახე, ჩვენი ქუთაისის უსტაბაშს ავაზაკებისას გ. ალექსი მლიაშვილს ერთი ვიღაც დურგალი დაუჩეხია. საქმე ასე ყოფილა:

„დურგალი შესულა მაღაზიაში თავის მასალის საყიდლად; ამ დროს აჩენია ეს მლიაშვილი ამოღებული ხანჯლითა თავზედ დადგომია, ფულები ამოიღე და მომეციო. დურგალს ფულები არ მიუცია, უთქვამს: ხალხში რას მიზამსო. მლიაშვილს ამოუღია ხანჯალი, შამოუკრავს კისერში და დაუჩეხია.

„შეიქნა ერთი ფაცი-ფუცი ხალხების, გამოუჩდა პოლიციის პრისტავი ბ. ნ. ბუგუშვილი. მლიაშვილმა ახლა ხანჯალ-ამოღებული გამოეკიდა ბუგუშვილს, რა შენი საქმეაო. ბუგუშვილმა უბრძანა ხანჯლის ჩაგება და წაყოლა პოლიციაში. მაგრამ მლიაშვილი გამოეკიდა მოსაკლავათ ბუგუშვილს, რომელმანც იხმარა ვაჟკაცობა, ამოიღო ხმალი და დაჰკრა მლიაშვილს კისერში. მლიაშვილი ხან დაეცემოდა ძირს, ხან ადგებოდა და მისდევდა ხალხს ხანჯლით. ამ დროს უკნიდან მოეპარენ, ხანჯალი წაართვეს და წაიყვანეს პოლიციაში.“

შეცდომის გასწორება. ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მზრუნველობისაგან განცხადებაში, შეცდომით მოხსენებულია სენაკის მაზრაში თვრამეტი ადგილი; უნდა იყოს თოთხმეტი.

„დროების“ კორრესპონდენციები

რაჭა, 14 ივნისს. 1868 წელს, როგორც მთელს საქართველოში, ისე რაჭაში შემოიღეს ახალი სასამართლო წესები. სიტყვა „მომრიგებელი მოსამართლე“ რაჭის ხალხისათვის იმ დროს დიდს იმედს და ბედნიერებას შეადგენდა... ეხლა კი ამ ჩვენს ძვირფასს 1864 წლის „სასამართლო წესდებას“, რაჭაში სხვა ნაირად ხმარობენ...

სანამ რაჭაში ნოტარიუსი დაბინავდებოდა, მანამ ნატარიუსის თანამ-

---

ვაზის ფურცელზე და ამის წვენს სწუწნიან.

დედალ-მამალი ფილოქსერა. ფრთიანი ფილოქსერა 3-4 კვერცხსა სდებს, რომელთაგან ზოგი უფრო წვრილია მოწითალო და ზოგი მსხვილი მკრთალყვითელი. კვერცხებს სდებს ფურცლებზე კუნწთან. წვრილ კვერცხებიდამ 8-13 დღის შემდეგ მამალი ფილოქსერა გამოიჩეკება ხოლმე და მსხვილი კვერცხებიდამ—დედალი.

არც დედალს და არც მამალ ფილოქსერას არა აქვს არც საჭმელი იარაღები (კუჭი) და არც ქორთუმი; ისინი ჩნდებიან მხოლოთ იმისთვის, რომ განაყოფიერებული კვერცხები გამოსჩეკონ. გაანაყოფიერებს თუ არა მამალი დედალს, მალე კვდება; დედალი კი რჩება, სანამ თავის ერთს კვერცხს არ დასდებს, რომელსაც მთელი იმის მუცელი აქვს მოკავებული. დედალი მოსძებნის ხოლმე გახეთქილ ვაზს ან სხვა რომელსამე დამალულ ადგილს და იქ ჩასდებს კვერცხს. ამის შემდეგ დედალი კვდება იქვე, თავის კვევცხთან. ეს კვერცხი მთელი ზამთარი ასე რჩება. გაზაფხულზე ამ კვერცხიდამ გამოიჩეკება უსქესო და უფრთო ფილოქსერა, რომელიც ვაზის ძირში ჩადის და იქ მრავლდება ისე, როგორც ზევით არის აწერილი.

როგორ ვნებს ვაზს ფილოქსერა?

ის ადგილი (ძირი) ვაზისა, სადაც ფილოქსერა ზის და სწოვს, აიბერება, სივდება და შემდეგ ლპება. ლპობა ძირის კანიდამ იწყება და შემდეგ გულზედ გადადის. ძირ-მომპალი ვაზი რაღა თქმა უნდა, თვითონაც ხმება და ფუჭდება.

როგორ ვრცელდება ფილოქსერა?

სამის საშუალებით ვრცელდება ფილოქსერა: ა) ან უფრთო ფილოქსერა გადადის ერთის ვაზიდამ მეორეზე, ბ) ან ფრთიან გადაფრინდება ხოლმე და გ) ან კაცს გარდააქვს.

უფრთო ფილოქსერის გადასვლა. როცა ერთ ვაზის ძირს გაახმობენ, მერე ყველა იმაზე მცხოვრები ფილოქსერები მეორე ვაზზე გადადიან და იმასაც ისე ახმობენ. ამ ნაირად ვაზის ავათმყოფობა ვრცელდება და ორი სამი წლის განმავლობაში ვენახის პატრონი შეატყობს, რომ ერთს ალაგას ვაზები სრულებით ხმება და შემდგომ 4-5 წელიწადში მთელს ვენახსაც ეს ბედი მოელის. ეს მთელი ვენახის გახმობა ადვილად წარმოსადგენია, თუ მოვიგონებთ—რა გასაოცრად ვრცელდება ფილოქსერა. ერთის ვენახის აოხრების შემდეგ მეზობლისას და ასე ამ ნაირად ედება მთელს მხარეს, მთელს ქვეყანას.

ფილოქსერის გავრცელება ნიადაგზედ არის დამოკიდებული: რაც უფრო დახეთქილი დამსკდარი მიწაა, მით უფრო ვრცელდება ფილოქსერა. ქვიშიანი მიწა ძალიან აბრკოლებს ფილოქსერის გავრცელებას.

ფრთიან ფილოქსერის გადასვლა. ფრთიანი ფილოქსერა თავის სუსტ ფრთებით დიდ მანძილზე ვერ გადაფრინდება; ის ქარს გადააქვს ერთი ადგილიდამ მეორეზე და იქ იწყებს გამრავლებას. რაც ხშირი ქარია და ნოტიო, მით უფრო ადვილად ვრცელდება ეს ფრთიანი ფილოქსერა. ამიტომაც არის, რომ, თუ ერთს ადგილას სადმე გაჩნდა ვენახში ფილოქსერა, იმის შიში მარტო მეზობლებს და ახლომახლო ვენახის პატრონებს კი არ უნდა ჰქონდესთ, არამედ შორ მცხოვრებთა და მთელ იმ ქვეყნის ვენახების პატრონთაც, განსაკუთრებით იმ მხრით, საითაც უფრო ხშირად ქარი ჰქრის.

კაცისაგან გადატანა ფილოქსერასი. ფილოქსერის გავრცელების ისტორია გვარწმუნებს, რომ ზემოყვანილის ორის საშუალებით შორს ადგილებში იშვიათად გავრცელებულა ეს ვაზის მავნებელი მწერი; ყველაზე უფრო ხშირად ის თვითონ კაცს გარდაუტანია ერთის ადგილიდამ მეორეზე; ვაზისა და სხვა მცენარეთა ნერგების გადატანით გადააქვს კაცს ფილოქსერას ავათმყოფობაც. საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრო-ვენგრიაში და იტალიაში ფილოქსერა კაცის ხელით გადატანილია. კაცმა გადმოიტანა ის აგრეთვე ჩვენს ყირიმშიაც.

(დასასრული სვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობას მომრიგებელი მოსამართლე ასრულებდა. ის საქმის განხილვას და გარდაწყვეტას უნდებოდა და საიდგან შეეძლო, რომ თავისი ხელით ეწერა ყოველი საბუთი და საბუთების პატრონებისათვის თვითონ განემარტებია ის წესები და კანონები, რომელნიც მათ ამ შემთხვევაში შეეხებოდათ, და ან რა უნდა მიეღო მათგან შრომისათვის. ველა ეს საბუთები და ქალალდები, მზადდებოდა მომრიგებელ მოსამართლის მინდობით, იმისთანა პირისაგან, რომელიც პასუხის-გებისაგან თავისუფალი ბრძანდებოდა. ეს უკანასკნელი იმას ცდილობდა, რომ საწყალი რაჭველი გლეხებისათვის, რაც შეიძლებოდა ბლომად ფულები გარდაეხდევინებია, თორემ მათი საქმე წალმა იქნებოდა თუ უკულმა—მისთვის სულ ერთი იყო. ბევრი საბუთები გაფუჭდა მაშინ და ბევრი კიდევაც დაიკარგა; ფული კი ხდებოდა გლეხებს; ნოტარიუსის წიგნებიც (აქტის დავთარი) გაფუჭებული გახლავთ.

ამ უწესოებამ, როგორც იქმნა მიაწია, მთავრობის ყურამდე. სასამართლოს რევიზორიც ჩამოვიდა. შეწუხებულმა მაშინვე მიმართეს ბ-ს რევიზორს ზოგმა თხოვნითა და ზოგმა სიტყვიერის საჩივრებითა; მაგრამ ვინ მიუშვა მასთან ეს უკანონოდ დასჯილი გლეხები? მაგრამ ბ-მა რევიზორმა მაინც მკაცრათ განიხილა ეს დაბურდული საქმე, პასუხიც მოსთხოვა მომრიგებელს მოსამართლეს; დამნაშავე პირიც განაშორეს ამ საქმეს, მაგრამ ბოლოს ველარ გავიგეთ ეს დამნაშავე პირი სამოთხეს ელირსა, თუ ჯოჯოხეთს... დროც გავიდა, საქმეც გაცივდა...

როგორც იქმნა გადურჩით იმ ჭირს, თუ არ ვცდები, 1870 წელს, და ველირსეთ განსაკუთრებულ უფლის ნოტარიუსს. რადგან ახალი ნოტარიუსი ბ. დ—ლი თვითონ რაჭველია, ამის გამო რაჭველებიც დიდი მოხარული შეიქმნენ მისს ნოტარიუსობაზედ, მას რაჭველების საქმისათვის ყოველთვის გული შესტკივა. მაგრამ ამ ბოლოს ხალხისაგან დიდი სამდურავი გვესმის ამ პირზედ; ტყუილიც ხომ მოეგონება კაცს, მაგრამ ძველათ თუ არის ნათქვამი „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“.

რაჭის ხალხმა ბევრი მოთმენა იცის, იმათ ძლიერ ჰსძულსთ მოხელე პირზედ ჩივილი; ოც ჯერ რომ მოხელე პირმა აწყენიოს ამათ, მაშინაც ეზარებათ ხმის ამოღება; მაგრამ მოგეხსენებათ: „მატლს რომ ფეხი დაადგა, ისიც კი გასმარტალდებაო.“

რაჭის ხალხის სამდურავი ბ. ნოტარიუსსზედ მდგომარეობს მასში, რომ მის მიერ შესრულებულს ნასყიდობების პროექტებს უფროსი ნატარიუსი არ ამტკიცებს, რადგან მათში ხშირად იპოვება მრავალი ნაკლულევანება; ამის გამო ებრუნებათ პატრონებს და მეორეთ გადაკეთებისათვის ხელ-მეორეთ ხდებათ ხოლმე ამ პირებს ფულები; დროებით-ვალდებულ გლეხებს „დანნის“ შესრულებისათვის ორ მანეთზედ მეტი ეთხოვებათო და სხვა. ამბობენ, რომ ბევრი სახაზინო მიწები შეიქმნა კერძო პირების სასაკუთროდ, საბუთის შედგენის დროს ერთსა და იმავე მოწმეებს ისწრებსო და იმათაც თავის ნათესავებს და მეგობრებსო, საბუთებში იმისთანა პირობა იწერებაო, რომელიც ან დაუძინებელი უთანხმოება ვარდებაო. მოჰყავთ მაგალითი:

ერთმა რაჭველმა აზნაურმა მიჰყიდა მღვდელს თავისი ტყე და ფასად ტყეისა მიიღო 350 მან., იმ პირობით, რომ უკეთუ გამყიდველი შვიდის დღის განმავალობაში ვერ შეუსრულებს მყიდველს ამ ტყეზედ ნასყიდობას, მაშინ მყიდველის სასარგებლოდ უნდა გარდახდეს გამყიდველს 1,950 მან. ჯარიმა (ნეუსტოიკა) და ფასიც 50 მან. სულ 2,000 მანეთი. გავიდა შვიდი დღე, ნასყიდობა ვერ შესრულდა. მღვდელმა „ზაპროდაჟნი ზაპისი“ ერთად ნოტარიუსის მიერ მიცემულის პროტესტით წარადგინა მომრიგებელს მოსამართლესთან და ითხოვა გარდახდევინება 2,000 მან.! დაბარების დღეს, გამყიდველი და მყიდველი გამოცხადდნენ მომრიგებელს მოსამართლესთან, რომელმაც წაიკითხა ზემორე მოხსენებული საბუთი. ამ საბუთის შინაარსმა გააოცა გამყიდველი. იმან მოახსენა მომრიგებელს მოსამართლეს: „ბატონო, ტყის ფასად მე მივიღე არა 50 მან. არამედ 350 მან., ნეუსტოიკად დაწერა 1,950 მანეთისა დღემდინ მე არ გამიგია. მაშინვე მინდოდა ამ ტყეზედ ნასყიდობის შესრულება, მაგრამ ნოტარიუსმა მიბრძანა, რომ კუპჩა, თუ არ გაქვს ამ ტყეზედ, ისრე დამტკიცება სხვაზედ არ შეიძლებაო. წარმოიდგინეთ, შვიდის დღის განმავალობაში კუპჩას ვინ მომცემდა? ტყე მიმიყიდნია მღვდლისთვის და ჰქონდეს, ბატონო, არ ვედავები!“ მღვდელმა დაიჯინა: „არა, ბატონო, ორი ათასი მანეთი გარდამახდევინებიეთო, ვადა წაუვიდა პიროპასაო!“

მომრიგებელი მოსამართლე ამ საქმეში მოიქცა ძლიერ მართლმსაჯულად: დაადგინა გარდაწყვეტილება: გარდახდეს ორი ათასი მანეთი აზნაურს ბ. ყ—ნს, მაგრამ ეს გარდახდევინება უნდა იქმნეს დაკმაყოფილებული ერთის ნაკვეთის ტყით, რომელიც პირობაში ჰსწერია. ეშველა ამ ნაირის გარდაწყვეტილებით ბ. ყ—ნს, თორემ თქვენი მტერია, პერანგსაც გახდიდა მღვდელი. ნოტარიუსს ბევრი სამდურავი მოახსენა ბ. ყ—ნმა, მაგრამ ყველა ამაო იყო.

სხვა ნაირს კერძო საქმეებშიაც ერევა ეს ჩვენი ნოტარიუსიო, და, როგორც მოგახსენებენ, ნამეტანის გემოვნობით ჩიტი მახეში გაბმულაო.

რაჭველი.

ბორი, 30 ივნისს. ეს საცოდავი ბორი სწორეთ ვიღასაც დაუწყეველია. სხვათა შორის, ერთი სიკეთე ჰქონდა ამ ქალაქს, პატარა სცენა, რომელიც ქართულმა ტრუპპამ, ბ. მაზრის უფროსის თანხმობით, თავის ანგარიშზედ გამართა დანგრეულს როტონდოში ხალხის სასიამოვნოდ წარმოდგენებისათვის და ესეც დაანგრია ქალაქის რჩევისაგან დაყენებულმა კომისიამ. რათ და რა მიზეზით—ახლავ მოგახსენებთ:

როტონდა გააკეთა მაზრის უფროსმა ქალაქის ფულით, ვიდრე თვითმმართველობა დაწესდებოდა ბორში. ქალაქის რჩევამ ოთხი წელიწადი დააგდო და არ ჩაიბარა როტონდა. ბოლოს, ერთის ხმოსანის თაოსნობით, რჩევის სხდომა დაინიშნა და მიიღეს როტონდა და ბაღი. ბაღს დაუწყეს შეკეთება და როტონდოში პატარა სცენა კი მგლის თვალით დაინახეს, მაშინვე მოინდომეს სცენის მინგრევა-მონგრევა.

ეს რომ ქართულ თეატრალურ კომიტეტმა შეიტყო, რამდენჯერმე სთხოვა ქალაქს და მაზრის უფროსსაც, არ დაენგრიათ როტონდის მომართულობა, სადაც მოწყობილი იყო სცენა, 16 გრძელი ზურგით მისაყუდებელი სკამები და ორი მხრით 100 სულის ადგილი გალერეია. ერთმა კომისიის წევრმა საზოგადოთ სთქვა:

„—რა გვეთეატრება გორელებსაო!“

ეს კი მართალია, რათ უნდათ თეატრი, როცა ამათში თაეიანთშიე ახალ-ახალ წარმოდგენებს მუქთად ხედავენ... დაანგრიეს სცენა, ფარდა ჩამოგლიჯეს, კედლების ქაღალდი (ობოი) დახიეს, სუფლიორის დასაფარებელი ბუდკა გადააგდეს და სკამები პოლზედ დაკრული აჰყარეს და გარეთ გადაჰყარეს, გალერეია მოშალეს, ფიცრები ეიღაცაებს დაუპარავთ და მარტო სკამები ჰყრია გარეთ.

სცენა დაანგრიეს და რა შეიმატეს—არ ეიცი. ახლა წარმოდგენების გამართვა უნდათ სცენის მოყვარეთ და ადგილი აღარა აქვთ.

აი ამ ნაირი პატრონები ჰყავს ბორსა და ამ ნაირმა პატრონებმა უნდა აარჩიონ ქალაქის თავი! მე რომ ამათ საქმეს უყურებ, არამც თუ თავი აირჩიონ, მეშინიან ფეხებიც არ დაჰკარგონ.

* *

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! სწორეთ მოგახსენო გასაკვირი იყო, რომ ამდენს ხანს სენაკის სპექტაკლების ანგარიშს თხოულობდნენ და ხმას არავინ იღებდა. ახლა კი მიეხვდი, ვგონებ რა მიზეზი ყოფილა: სჩანს ბ-ნ ლუკა ქვანიას, რომელზედაც ყოფილა დამოკიდებული ანგარიშის მოცემა, არა სცოდნია ქართული ამის გამო ვერ გაუგია—თუ ვინმე თხოულობდა ანგარიშს, რადგან სულ „დროებაში“ თხოულობდნენ, და აგრეთვე არ სცოდნია—საჭირო იყო ამის ბეჭდვით გამოცხადება, თუ არა. ახლა ვიღაცა კურთხეული-შვილს გაუგებინებია ბ-ნ ქვანიასათვის ეს მოთხოვნილება და მოვესწარით ძლიეს მისს ანგარიშს „კავკაზის“ მე-138 ნომერში.

აი, ბ-ნი ქვანიას ანგარიში, გადმოთარგმნული რუსულიდან; იმ ორი სპექტაკლისა, რომელიც იყო წარდგენილი დაბა ახალ-სენაკში თებერვლის თვეში ამა წელსა.

შემოვიდა „ორივე სპექტაკლისაგან 311 მ. დაიხარჯა 135 მ. და 66 კ., დარჩა წმინდა შემოსავალი 175 მან. და 34 კაპ., რომლიდგანაც 120 მან. სპექტაკლის მოყვარეების მინდობილობით, ბ-ნ ნესტორ ახელედიანმა გაგზავნა მოსკოვში სტუდენტის ს. ოოფურიძის სახელობაზედ, რაზედაც აქვს ფოჩტის კვიტანცია 25 თებერვლისა ამა წლისა № 31. დანარჩენი 55 მან. 34 კ. გადაეცა დეპუტატებს დაბა ახალ-სენაკისა ნიკოლოზ ჯიჯიხიას, ანტონ ქავთარაძეს და ბურდღუ ჭანტურიას სასარგებლოთ აღსაშენებელის დაბა ახალ-სენაკის სკოლისა.

ამას გარდა კიდევ არის ფარდები და სხვა მოსაწყო შეძენილი, თეატრისათვის, 20 მანეთისა, და ნივთები; ესენი აბარია შესანახავათ ბესარიონ ქავთარაძეს.

„ეს ანგარიში არ შეიძლებოდა თავის დროზედ გამოცხადებულიყო იმ მიზეზით, რომ ერთი ნაწილი სცენის მოყვარეთაგანი თხოულობდა იმ 120 მანეთის გარდ., რომელიც მოსკოვში გაიგზავნა, შერიცხულიყო დასარსებლათ ბიბლიოთეკისა სკოლაში და მეორე ნაწილი კი თხოულობდა იმ ფულების მიქცევას სასარგებლოთ სკოლის შენობისა და უმრავლესობით დამტკიცდა ეს უკანასკნელი აზრი.

ლუკა ქვანია.“

თუმცა რედაქციასაც და მკითხველმობეზრდათ ამ საგანზე ბეჭდვა და კითხვა, მაგრამ რა ვქნა, ვერ მოვითმინე, რომ ორიოდე სიტყვა მეც არა ვსთქვა კიდევ ამ საგანზედ.

თქვენი მადლი გამიწყრეს თუ ჩვენ დღემდის გვცოდნოდეს ნამდვილათ ამ ფულების ანგარიში. ჩვენ არც ის ვიცით რა იყიდეთ, ბ-ნო ქვანია, და არც ის რა გაყიდეთ, ძალაც თქვენ ხელში ყოფილა და ნებაც; მაშასადამე, თუ გნებავდათ ისიც შეგეძლოთ, რომ შემოსავლისთვის გასავალი გადაგეჭარბებიათ.

მაგრამ მიკვირს: როდის იყო, რომ ყველა მონაწილენი მოგვიწოდეთ, რომ მოგვეცით შემოსავლის და გასავლის ანგარიში და გადავსწყვიტეთ გასაგზავნი ფულის რიცხვი? როდის იყო, რომ ყრილობაში უმეტესმა ხმამ დაამტკიცა დანარჩენი 55 მან. 34 კ. სკოლის შენობას მოხმარდესო და არა ბიბლიოთეკასო? თქვენ არ ბრძანდებოდით, გუშინ-წინ რომ თავის საქმეზედ ერთ სასამართლოში შებრძანდით და ერთს სცენის მოყვარეს უთხარით, რომ ეს დანარჩენი ფულები მისთვის ვერ გავგზავნეთ სკოლაში, რომ ბილეთების ფასი არ მოგროვდაო (ვითომ ნისიათ გაეყიდოსთ ბილეთები) და ახლა ერთ დღეს ყველანი შეეკრიბოთ და გადავსწყვიტოთ სკოლაში გაგზავნა ბიბლიოთეკისათვისო? ახლა მიკვირს, რომ ამის წინაალმდეგის დაწერა გინებებიათ, რომ ვითომც უთანხმოების გამო იყო გაჩერებულიო. არა, ბატონო

მაგეები არა იყო-რა, არავისთვის არ გიკითხავსთ, არც არავის მხრით უთანხმოება შეგხვდომიათ და არც იყო ეს მოსალოდნელი. მხოლოთ საჭირო იყო გამოაშკარავებულიყო ეს კეთილი საქმე, თორემ სულ ერთია, გინდ იმას და გინდ ამას, ოღონ კეთილი საქმისთვის დაიხარჯოს.

ერთი სტენის მოუკარეთაგანი.

დაბა ახალ-სენაკი, 25 ივნისს.

ნარევი

ამ დღეებში ლონდონში გამოსულა ერთი წიგნი, რომლისთვის ავტორს, ბ-ნ ჭეის სახელად დაურქმევია „სამასის წლის შემდეგ“. ბევრი ერთობ საინტერესო, მაგრამ უცნაური შენიშვნებია ამ თხზულებაში. ავტორი, სხვათა შორის, ამტკიცებს რომ თუ ქვეყნიერების ზრდა ნორმალური იქმნა, სამასის წლის შემდეგ დედამიწის მცხოვრებლების რიცხვი 92,032 მილიონი, ნაცვლად ახლანდელის 1,438 მილიონისა. ბერლინში, მაგალითად ახლანდელ ერთი მილიონ მცხოვრებლის ნაცვლად მაშინ იქნება 64 მილიონი. ავტორს აწუხებს თუ სად და როგორ უნდა მოიპოვონ თავშესაფარი და ლუკმა შური ამოდენ სალხმა? მისი აზრით, ადამიანები სმელეთზე აღარ დაეტევიან და ზღვებზე დაიწყებენ სადგომების შენობას. ეს ძალიან სასარგებლო იქნება ჯანმრთელობისათვისო. შოლიარულს ქვეყნებს მოატილებენ მუდმივს უინვებს მოგონების ელექტრიულ მზეთა საშუალებით. გრენლანდიაში (ყინვის მსარე) ადმოტენდება სამშიტი, ლიმონი და ფორთოხალი, ერთის სიტყვით, ახალი შეკეთესი ქვეყანა დაიბადება....

* * *

ახალი უბედურება ოსმალეთის ქალების თავზე. სტამბოლში ამ დღეებში გამოუცია მმართებლობას ორი სიგელი, ორივე ქალების წინააღმდეგ მომართული. პირველი სიგელის ძალით ოსმალეთის ქალები ამიერ ვალდებულნი არიან ერთი პირ-ბადის მაგიერ ორ-ორი ერთად ატარონ პირის-სახეზე ჩამოფარებული—ვითომ და რჯულის მტკიცედ დასაცველად.... მეორის ძალით კი სტამბოლშივე ისპობა ქალაქის ფოსტა. ეს რეგრესიული განკარგულება იმ.ნ გამოიწვია თურმე, რომ ოსმალელ მანდილოსნებს და ბანოვნებს ერთობ სშირად მიუდიოდათ სელ-მოუწერელი ბარათები, რომლებითაც კადნიერი ავტორები სიყვარულს უცხადებდნენ და სხვა და სხვა საშიო ლექსებით ამკობდნენ ტურფა ადრესატებს. ამ სიგელების გამოცხადების შემდეგ სტამბოლელ ქმრებს და ძმებს მეჯლისი გაუმართავთ და უკუდო კავალერებს კი გლოვითა და ზარით დაუმარხავთ ჯუბიდონის (სიყვარულის ღმერთის) სურათი. მაგრამ ქალებისაგან მოსულიათ გასამხნევებელი წერილი: „ნუ გეშინიათ გარდუალი არ გარდიარსო“. (სტამბოლელი ფრანგუზული გაზეთი „*Stamboul*“ № 315).

განცხადებანი

ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

Открыта полугодовая подписка на еженедѣльный журналъ

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(издаваемый въ гор. Тифлисѣ)

Съ 1 Іюля 1881 г. по 1 Января 1881 г.

Цѣна на полъ года 6 руб.

КРОМѢ ТОГО МОЖНО ПОДПИСАТЬСЯ на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка во взносѣ денегъ допускается по соглашенію съ администраціею журнала.

Подписка принимается исключительно въ администраціи журнала, въ гор. Тифлисѣ, близь Головинскаго пр., по Безъименному пер., въ домѣ Тамамшева.

Издатель А. С. Френкель.

Редакторъ А. В. Степановъ

(3—3)

სოფლისათვის მოსახურავები 4 მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და 50 კაპ. და კრაოტები 8 მანეთიდამ; სკამიანი ჯოხები 4 მან., ღამაკები 14 მან., კრესლოიანი კრავატები 10 მანეთიდამ; ბაკლები 15 კაპ. ეკსტრაკტი-ყავა, კაკაო, თოფები, რევოლვერები, პირის-სახოცები, საწერი მასალეები, კალმები, და სხვ. და სხვ.

ინგლისის მაღაზიაში.

(10—4)

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლუბიოშკები და ბასტილია თამბაქოს მსმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვ. (20—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

Съ 1-го іюля по 1-ое января 1882 года на ежедневную газету

„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“

(четвертый годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ 2 руб.
Иногороднымъ съ пересылкою. . . . 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой ул., въ домѣ Сараджева, съ 7-ми утра до 8-ми часовъ вечера.

(12—1)

ბარკვიანის და ამბ.

წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუსრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს გოსტინიცის პირდა-პირ № 15. 5—5

სიუვარულის კოლა.

ლექსები, კომედია და დაღისტნელი ლეკის ამბავი, თხუზულება დიმიტრი ნადიროვისა. დაიბეჭდა და ისყიდება ქქ. თბილისს, ქუთაისს, ბორს, სიღნაღს და ფელავს წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

(5—4).

ინგლისის მაღაზიაში

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბოძადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასხობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ.

(150—109)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის ყველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქალალდოა, სხვაგან კი ქალალდით. (100—9)

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველმა უნდა იეიდოს ჩაი, ჰირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამლევს ჩაის წმინდა წონით უქალალდოთ და უტეკოთ.

(100—5)



მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასგან სმარებული ფამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით სშირთა ფესის თითებს შუა,

გალმანინი

(Гальманиннъ)

ისყიდება ევროპაში და ევროპაის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარშინსკის ევროპაის ქარვასლაში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდ ოკრობა გაგზავნისა ვარშავაში 50 კ. ლირს, ნატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგტეუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა ისმაროთ წამალი და მედალი ბარიეის მსოფლიო გამოფენისა. (20—10) ვ. კარშინსკი.

ქუთაისში

ივანე ნიკოლაძის და შვილთა მოდის მაღაზიაში მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ მრავალ გვარი საქონელი. თუმც ბაჟმა მოიმატა მაგრამ ყველაფერი წინანდელ ფასებით იყიდება. მაღაზიაში არის და კიდევ მოელიან დიდ-ძალ შუშეულს და ჭურჭლეულს. ფასები 25% ნაკლებ ვიდრე სხვა მაღაზიებში.

(10—8)

თბილისის სამოქალაქო გამგეობაში, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 1 საათამდის, მიიღება ხელის მოწერით შესაწირავი მოსკოვის ქრემლში ძეგლის ასაგებათ მიცვალებულის, ნეტარ-ხსენებულის და საუკუნოდ სადიდებელათ ღირსეულის ხელმწიფის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის სახელობაზედ. 3—3

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოხებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საბონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარნდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩვინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანს გიარები. (100—91)

ჯანჯულაზოვების მოსკოველ მოვაჭრეების ვექილი

ვ. მ. ლებედინსკი

ჩაისრულობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას თეიდისის სასამართლოებში და სამოსამართლო პალატაში რჩევას მუქთად აძლევს.

მთხოვნელებს მიიღებს მუდამ დღე ნაშუადღევის 5 საათიდამ 7-მდინ, შაბათსა და კვირას გარდა. ადრესი: გალავინის ბრასპ., მირიმანოვის სახლი, „საქართველოს“ სასტუმროში. (6—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქაშვილი. რედაქტორები: იო. ჭავჭავაძე და ს. მესხი